*<u>საფუძველი:</u> (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების ( №2-82, 19.02.2018) - „ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმელისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტის სერტიფიცირების წესის დამტკიცების შესახებ“*

**1) ნიმუშის აღების აქტი** თან უნდა ახლდეს ნებისმიერ ნიმუშს, როგორც ადგილობრივი, ასევე საექსპორტო ბაზრისთვის *(აქტის ფორმა იხ. დანართში).*

## 2) ჩასაბარებელი ნიმუშების რაოდენობა თითოეული ლოტიდან

### 2.1. <u>ადგილობრივი ბაზრის შემთხვევაში</u>

| # | სასმელის კატეგორია | ბოთლის მოცულობა | ბოთლის რაოდენობა | დეგუსტაციის საჭიროება |
|---|---|---|---|---|
| 1 | **ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო**<br>*ჩამოსასხმელი სახით რეალიზაცია დაშვებულია* | **0.75** ლ | **5** ცალი | კი |
| 2 | **სხვა კატეგორიის ღვინო** | **0.75** ლ | **2** ცალი | არა |
| 3 | **ბრენდი, ჭაჭა, მაგარი სასმელი** | **0.5** ლ | **2** ცალი | არა |
| 4 | **ჩამოსასხმელი ღვინო**<br>*ნიმუში აიღება ყველა ფუნიდან, თანაბარი პორციებით შემდგომი ერთიანებით* | **0.75** ლ | **1** ცალი | არა |

### 2.1. <u>ექსპორტის შემთხვევაში</u>

| # | სასმელის კატეგორია | ბოთლის მოცულობა | ბოთლის რაოდენობა |
|---|---|---|---|
| 1 | **ღვინო, ნებისმიერი კატეგორიის,**<br>*ექვემდებარება დეგუსტაციას* * | **0.75** ლ | **6** ცალი |
| | | **< 0.75** ლ | იმდენი, რომ იყოს არანაკლებ **4.5** ლ |
| 2 | **ბრენდი, ჭაჭა, მაგარი სასმელი** | **0.5** ლ | **3** ცალი |
| | | **< 0.5** ლ | იმდენი, რომ იყოს არანაკლებ **2** ლ |

* **დეგუსტაციას არექვემდებარება** ნიმუში, თუ

- ✓ მწარმოებელს აქვს მცირე მარნის სტატუსი (წლიური წარმოება 40 000 ლიტრი ღვინო);
- ✓ ერთი ლოტის ქვეშ ბოთლების რაოდენობა 3 000-მდეა;
- ✓ საერთო გოგირდოვანი მჟავის (SO2) შემცველობა < 40 მგ/ლ

## 3) ნიმუშების მომზადება ლაბორატორიაში ჩასაბარებლად

- ✓ სერტიფიცირებისთვის ნიმუშის აღებას, დალუქვას და ნიმუშის აღების პროცედურას დოკუმენტირებას (ნიმუშის აქტის გაფორმებას) ახორციელებს დამკვეთი, რომელიც პასუხისმგებელია ნიმუშის აღების კეთილსინდისიერად განხორციელებაზე;

- ✓ **კონკრეტული ლოტიდან აღებული ნიმუში უნდა:**
  - იყოს ეტიკეტირებული;
  - მითითებული ჰქონდეს ლოტის ნომერი და ჩამოსხმის თარიღი;
  - იყოს დალუქული კომპანიის ბეჭდთან ხელმოწერით

- ✓ **თუ ეტიკეტები ჯერ არ არის დაბეჭდილი,** შესაძლებელია, რომ კომპანიამ ნიმუში თავად გააფორმოს, კერძოდ დააწეროს ყველა საჭირო ინფორმაცია, ხელი მოაწეროს და დალუქოს კომპანიის ბეჭდით ასეთ „თვითნაკეთ“ ეტიკეტზე დასატანი აუცილებელი ინფორმაციაა:
  - კომპანიის დასახელება;
  - ნიმუშის დასახლება;
  - ნიმუშის კატეგორია;
  - მოსავლის წელი;
  - ლოტის ნომერი;
  - ჩამოსხმის თარიღი;

# !!! გაითვალისწინეთ!!!

**ლაბორატორია არ ჩაიბარებს საანალიზო ნიმუშებს, თუ ნიმუშზე დატანილი ინფორმაცია არ იქნება შესაბამისობაში „ნიმუშის აღების აქტთან“**